ეკონომიკური თეორიის ახალი ფუნდამენტური პარადიგმები

ცნობილმა ევროპულმა გამონცემლობამ Palmarium academic publishing–მა რუსულ ენაზე გამოსცა პროფესორ გიორგი მალაშხიას მონოგრაფია „ **მცირე ეკონომოლოგია. ეკონომიკური თეორიის ახალი პარადიგმები“.** ეს მნიშვმელოვანი ფაქტია ავტორისათვის და ეკომომიკური მეცნიერებისათვის, რამდენადაც ამ წიგნში ახლებურადაა დაყენებული და გააზრებული ეკონომკური თეორიის ფუნდამენტური პრობლემები.

ავტორი დაეჭვებულია მარქსიზმისა და კლასიკური, ასევე თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ფუძემდებლურ დოქტრინებში და ეძებს ეკონომიკის ფუნქციონირების და განვითარების, სიმდიდრის კვლავწარმოებისა და გადიდების ახლებურ ახსნას.

გიორგი მალაშხია პირველ რიგში თვლის, რომ აუცილებელია ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების ზოგადი კანონზომიერების, პერსპექტივების შესახებ მეცნიერების ახალი მიმართულების - ეკონომოლოგიის დაფუძნება, რომელიც მოგვცემს ჭეშმარიტ ცოდნას აღნიშნულ პროცესებზე. ასეთი მწყობრი, მთლიანობითი მეცნიერება სადღეისოდ არ არსებობს, რაც ავტორი აზრით, ცხოვრების შემეცნების სფეროში ცარიელ ადგილად წარმოგვიდგება.

ავტორი თვლის, რომ, თუ კრიტიკულად განვიხილავთ არსებულ კლასიკურ, მარქსისტულ და არამარქსისტულ თეორიებს, შემეცნების თანამედროვე დონის საფუძველზე შესაძლებელია შეჭმარიტი ცოდნა შევიმუშავოთ ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების პროცესებსა და მოვლენებზე, უკუვაგდოთ არაზუსტი, არაშეშმარიტი შეხედულებები, წარმოდგენები. ეს აუცილებელია მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის. ამასთან, უნდა დავეყრდნოთ არსებულ ცოდნასაც, რომელიც აზროვნების ადრინდელ დონეს შეესაბამებოდა. მისი კრიტიკული ანალიზი და სათანადო კვლევა-ძიება საშუალებას მოგვცემს ახლებურად ავხსნათ და გავაშუქოთ სინამდვილე და გავიაზროთ პერსპექტივა.

საგულისხმოა, რომ გიორგი მალაშხიას კვლევისათვის შემოაქვს ახლი მეთოდები, რაც , მისი აზრით, ფართო და ღრმა შემეცნების შესაძლებლობას ქმნის. ესენია: ანთროპიცენტრული მიდგომა - სოცალურ და ეკონომიკურ მოვლენათა ადამიანის ინტერესებისა და დოვლათშემქმნელი პოტენციალის თვალსაზრისით გამხილვა, აქსიოლოგიური ხედვა - სინამდვილის მოვლენათა აღქმა ფასეულობითი ასპექტით, საკვლევი მოვლენების ევდემონისტური ანუ ადამიანთა ბედნიერების კუთხით

გააზრება, გენეტიკური წვდომა - განვითარების პროცესის ასახვა მემკვიდრეობის ფატორის როლის გათვალისწინებით .

გიორგი მალაშხია პირველ რიგში წამოსწევს დოვლათის (სიმდიდრის) წარმოებისა და განაწილების კანონებსა და წესებს, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა საკვანძო საკითხებს. იგი სადაოდ მიიჩნევს მათ შესახებ მარქსიზმისა და დასავლური ეკონომიკური მეცნიერების კონცეფციებს, ცდილობს დაასაბუთოს ჭეშმარიტებისაგან მათი დაცილება და ალტერნატიული თვალსაზრისი. უწინარესად ეს ეხება კ. მარქსის მიერ საფუძველ ჩაყრილ თვალსაზრისს, რომელიც ემყარებოდა კლასიკური ინგლისური პოლიტკური ეკონომიის პოსტულატებს. კერძოდ, მსჯელობა არის იმაზე, რომ დოვლათს ქმნის მხოლოდ შრომა, მაშასადამე, საქონლის ღირებულება განისაზღვრება შრომის დანახარჯებით, მოგება კი ესაა ზედმეტი ღირრებულების გარდაქმნილი ფორმა, ე.ი. შექმნილია მხოლოდ შრომით. სინამდვილეში დოვლათს, პროდუქტს, საქონელს ვერ შექმნის, ღირებულებას ვერ განსაზღვრავს ერთი ფაქტორი - შრომა, თუმცა არ შეიძლება არ ვაღიაროთ მისი დიდი როლი. ამასთან, მსჯელობა უნდა იყოს არა მხოლოდ, დაქირავებული მუშების შრომაზე, არამედ წარმოებაში ჩაბმული სუბიექტების შრომაზე საერთოდ. დასავლური არამარქსისტული თეორია უფრო ახლოსაა სინამდვილესთან, როცა აცხადებს, რომ დოვლათი იქმნება წარმოების ფაქტორების ერთობლივი მოქმედებით. ამას ამტკიცებს წარმოების ფაქტორების თეორია. გიორგი მალაშხიას აზრით, არც მარქსი თავისი შრომითი ღირებულების თეორიით, სხვადასხვა მმართულების დასავლური თეორეტიკოსები, მიუხედავად ამ უკანასკნელთა მიერ წარმოების ფაქტორების ერთობლივი მოქმედების, მათ შორის ბუნების მონაწილეობის აღიარებისა, ვერ გვაძლევენ დოვლათის შექმნისა და ღირებულების ფორმირების მართებულ შეხედულებას. კ. მარქსის ზედმეტი ღირებულება საერთოდ არ არსებობს, არც ე.წ. დასავლური კლასიკური თეორიის თვალსაზრისით კაპიტალის ან მეწარმეობრივი უნარის მიერ შექმნილი მოგება, რადგან წარმოების ერთ ფაქტორს ამგვარ ფუნქციას ვერ მივაწერთ .

ამ მოვლენის სწორი ახსნისათვის ავტორს შემოაქვს „სოციალური ენერგიისა“ და „დამატებული პროდუქტის“ ცნებები. სოციალურ ენერგიად წარმოდგენილია საზოგადოების დოვლათშემქმნელი პოტენციალი. იგი წარმოიშვება კონკრეტული წყაროებისაგან, კერძოდ, ბუნებრივი რესურსების, ადამიანთა მწარმოებლური ძალის, წარმოების საშუალებათა (კაპიტალის), სპონტანური პროცესების (შრომის დანაწილება, კოოპერაცია და სხვა), ხელსაყრელი გარემოს და ა. შ. ერთობლივი მოქმედებისაგან, ასევე ადამიანური რესურსებსა და წარმოების საშუალებებთან შეერთებული წარსულიდან გადმოცენული ცოდნის, გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების (აღმოჩენების, გამოგონებების, ორგანიზაციის მეთოდების) შეერთების შედეგად. წარმოების ფაქტორების მნიშვნელოვანი ნაწილი მუქთია, ფასგადაუხდელია. ეს ეხება ბუნებრივ და ისტორიული ფაქტორს - წინამორბედ თაობათაგან მემკვიდრეობით მიღებულ სოციალური ენერგიის წყაროებს,ასევე ადამიანთა, განსაკუთრებით ინტელექტუალური ელიტის ბუნებრივ უნარებს. ყოველივე ამას წარმოების ფაქტორების თეორია და მარქსიზმი გვრდს უვლის. დოვლათის შექმნის საზრისის ძირითადი პირობაა დანახარჯებზე მეტი დოვლათის მიღება. ავტორის ახალი ხედვის მიხედვით, ამის საფუძველი სწორედ წარმოების ფაქტორების მნიშვნელოვანი ნაწილის მთლიანად ან ნაწილობრივ მუქთი (ფასგადაუხდელი) ხასიათია. ამ ფაქტორების თვისებების შედეგად წარმოების პროცესი გვაძლევს მეტ შედეგს (დოვლათს), ვიდრე ვხარჯავთ ანაზღაურებად რესუსებს მისი მშექმნისთვის. ამდენად მნიშვმელოვანია მუქთი (ფასგადაუხდელი) ფატორების მონაწილეობა წარმოების პროცესში. აქედან იღებს სათავეს მოგების, დანაზოგების, განვითარების, ეკონომიკური ზრდის წყარო. მაშასადამე , ვხედავ, რომ მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორია ქარწყლდება, ასევე სწორად ვერ გვიხსნის სინამდვილეს დასავლური წარმოებისა და მოგების ეკონომიკური თეორიაც. წარმოების რესურსების გარკვეული და მზარდი ნაწილის მთლიანად ან ნაწილობრივ მუქთი ხასიათის ეკონომიკური შინაარსის გააზრების გარეშე სათანადოდ ვერ ავხსნით დამატებული პროდუქტის (მოგების) მიღების, ეკონომიკური ზრდისა და პროგრესის პროცესს. მაშასადამე, ამ გაგებამ სათანადო ადგილი უნდა დაიკავოს ეკონომიკურ თეორიაში,- ამტკიცებს ავტორი.

ავტორისათვის აღნიშნული თვალსაზრისი ამოსავალია განაწილების თეორიის ახალებურად ჩამოყალიბებისათვის. იგი ადასტურებს, რომ არსებობს განაწილების ობიექტური კანონი, რომელიც განაპირობებს წარმოების ყველა სუბიექტის მიერ შექმნილი დოვლათის გარკვეულ ნაწილის მიღების აუცილებლობას. ეს ნაწილი უნდა შეესაბამებოდეს სუბიექტთა პირად წვლილს დოვლათის შექმნაში. ამასთან, ეს არის საერთო წესი, რომელიც ამა თუ იმ გადახრით სრულდება სინამდვილეში. ეს გადახრა ისტორიულად დიდია ცივილიზაციის დასაბამიდან (მონათმფლობელო-

ბის დროიდან), შემდგომ ნელა სუსტდება, მაგრამ კვლავ რჩება მაღალ დონეზე. დოვლათის განაწილება თანამედროვე საზოგადებაში ხორციელდება უსამართლოდ. მაგრამ ეს იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მუშები არ იღებენ საერთოდ დოვლათის შექმნაში მათი წვლილის შესაბამისად (თუმცა ესეც შეიძლება იყოს, მაგრამ კანონზონიერება კი არაა). მთავარი ისაა, თუ დანახარჯებზე მეტი დოვლათი - დამატებული პროდუქტი როგორ ნაწილდება და მიითვისება. ეკონომიკური ძალაუფლების მფლობელნი - წარმოების საშუალებათა მესაკუთრენი და წარმოების ორგანიზატორები (მეწარმეები) დოვლათის განაწილების პროცესში მათი უპირატესი შესაძლებლობის შედეგად იღებენ უფრო მეტს, ვიდრე ეკუთვნით და იყენებენ კიდეც მას საკუთარი თუ ოჯახის კეთილდღეობისათვის, ფუფუნებისათვის და სხვა მიზნებით. შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების პროცესში სხვა უკუღმართობათა გამო კაპიტალიზმის დროს, მათ შორის თანამედროვე საზოგადოებაში, არსებობს უდიდესი და აღმაშფოთებელი, თანაც მზარდი უთანასწორობა საზოგადოების წევრებს შორის სიმდიდრის მიხედვით, რასაც თან დიდი სიავეები ახლავს.

ამასთან, კ. მარქსისა და მარქსისტების მიერ უგულებელყოფილია, რომ კაპიტალისტები საზოგადოებას ახმარენ მითვისებული დოვლათის მნიშვნელოვან ნაწილს, რომ მითისებული დოვლათი მთლიანად არ გამოიყენება კაპიტალისტთა კეთილდღეობისათვის. სინამდვილეში მისი ნაწილი საზოგადოების სამსახურს უბრუნდება. ესაა სიმდიდრის (დოვლათის) წარმოებაზე, მის გაფართოებაზე, განვითარებაზე, სამუშაო ადგილებისა და წარმოების სუბიექტების შემოსავლის წყაროს წარმოქმნაზე ინვესტირება, გადასახადების გადახდა და საზოგადოებისათვის აუცილებელ სიკეთეთა შექმნაზე მიმართული სახსრები. მაგრამ, მუხედავად ამისა, დოვლათის განაწილების ეს წესი არ შეიძლება სამართლიანად ჩაითვალოს, რამდენადაც ირღვევა განაწილების ზემოთ დასახელებული ობიექტური კანონი. ამდენად განაწილების ეს სისტემა მისი გარდაქმნის, სამართლიანობის დამკვიდრების აუცილებლობას იწვევს, რაც თეორიაში არაა სათანადოდ ასახული . ეს უნდა გამოსწორდეს. ასეთ დასკვნამდე მიდის კვლევის საფუძველზე ავტორი.

გიორგი მალაშხია შემდეგ გადადის ეკონომიკურ თეორიაში საქონელგაცვლის პროცესის ასახვის საკითხზე და აქაც ხედავს სინამდვილისადმი შეუსაბამობას. კერძოდ, ის მიიჩნევს, რომ გაცვლის სფეროშიც არსებობს ობიექტური კანონი, რაც გამოიხატება მისი ქკვივალენტურობის ტენდენციაში, რასაც გვერდს უვლის მეცნიერება. თითქოს მთავარი იყოს მოთხოვნა - მიწოდების თანაფარდობა. მაგარამ რაც გაცვლის პროცესის სიღრმეში დევს, ის უნდა იყოს დანახული, ახსნილი და ასახული თეორიაში. გაცვლის ეკვივალენტურობა უმთავრესია გაცვლის პროცესისათვის. ეს ნიშნავს, რომ გაცვლის მხარეთა შორის ღირებულებისა და სარგებლობის (სარგებლიანობის) ურთიერთგადაცემის დროს დაცული უნდა იყოს დაახლოებითი თანაბრობის პრინციპი, ანუ გაცვლის აქტის შედეგად არც ერთი მხარე - არც მყიდველი, არც გამყიდველი არ უნდა დაზარალდეს. ეს ზოგადი წესი ზუსტად ვერ ხორციელდება გაცვლის პროცესის რთული ხასიათისა და მასზე სხვადასხვა გარე ფაქტორების გავლენის გამო. ამასთან, გარკვეული ეკვივალენტურობა მთლიანობაში მაინც არსებობს. ეს რომ არა, ამ სფეროში სრული უწესრიგობა და ქაოსი დამყარდება. საქონელგაცვლის სფერო მეტად მნიშვნელოვანია. მისი ობიექტურობის კალაპოტში ჩაყენება, განსაკუთრებით სამართლიანი ფასების ჩამოყალიბება დიდ გავლენას ახდენს წარმოების ჰომეოსტატიურობაზე, რესურსების ალოკაციაზე, ადამიანთა შორის დოვლათის სამართლიან განაწილებაზე (გადანაწილებაზე). ამდენად ავტორს მიაჩნია, რომ ფასების სამართლიანობის საკითხი, რაც ყურადღების გარეშეა, უნდა გახდეს ფასების თეორიის საკვანძო პუნქტი. ეკონონოკურ უკუღმართობათა მნიშვნელივანი წილი მასთანაა დაკავშირებული. ფასების ობიექტურობის საფუძველი კი უწინარესად ეკონომიკურ ურთიერთობებში, წარმოების პროპორციულობაში, საზოგადოების მოთხოვნილებათა სწორად ფორმირებაში, ეკონომიკის გამართული სტრუქტურის, მოთხოვნილებათა სწორად ფორმირებაში ძევს. მაგრამ ამას სუბიექტური როლიც უნდა დაემატოს, კერძოდ, ფასების სახელმწიფო პოლიტიკა, რომ თავიდან ავიცილო ფასების ტირანია. ამ გზით ობიექტური ფასების ჩამოყალიბების საკითხი ერთ-ერთი საკვანძო უნდა იყოს ეკონომიკურ თეორიაში, რომ მივიღოთ გამართული, საზოგადოების ინტერესების შესაბამისი სტაბილური და მდგრადი ეკონომიკა. ასეთია ფასების გარშემო ავტორის მსჯელობის კვინტესენცია.

ავტორის ახლებური განხილვის საგანია მოხმარების პროცესი. გიორგი მალაშხიას მიაჩნია, რომ მოხმარების თეორიას არ უკავია სათანადო ადგილი ეკონომიკურ მეცნიერებაში. მოხმარება ყალიბდება თავისთავად, ადამიანთა სურვილების, გემოვნების, მენტალიტეტის საფუძველზე და თითქოს არაა საჭირო ამ სფეროში არავითარი ჩარევა. მომხმარებლის სუვერენიტეტი - ესაა მთა-

ვარი პოსტულატი, რასაც მოხმარების თეორია განიხილავს. მომხმარებლის სუვერენიტეტი უთუოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ ის სწორად უნდა გავიგოთ. მისი არსებული გაგება უგულებელფოფს რაციონალური მოთხოვნილების ფორმირების, მისი გონივრულობის ასპექტს, ქადაგებს, რომ მონხმარებლის სუვერენიტეტში ნებისმიერი ჩარევა ნიშნავს მისი თავისუფლების შეზღუდვას, უფლებების ხელყოფას. ამგვარი მიდგომა შეიცავს საზიანო შედეგს მომხმარებლისა და საზოგადოებისათვის. ავტორს ამ სფეროში უმთავრესად მიაჩნია მომხმარებლის რეალური ინტერესები, რომელიც ბევრადაა დამოკიდებული მოთხოვნილებათა სწორად, რაციონალური ფორმით ჩამოყალიბებაზე. რა თქმა უნდა, უხეში ჩარევა მოთხოვნილებათა ფორმირებისა და მოხმარების პროცესში დაუშვებელია, მაგრამ განათლების, აღზრდის, კარგი მაგალითის, იდეოლოგიური ზეგავლენის მეშვეობით გონივრული, რაციონალური მოხოვნილებებისა და მოხმარების ნამდვილი მაღალი კულტურის ჩამოყალიბება აუცილებელია საზოგადოების წევრთა საერთო კულტურისა და კეთილდღეობისათვის. ამას უნდა მიექცეს ეკონომიკური თეორიის ყურადღება. ავტორი ასევე ამტკიცებს, რომ თეორიის ხარვეზია მოხმარების ეფექტიანობის გვერდის ავლა. იგი იძლევა ამ საკითხისადმი ამოსავალ მიდგომას, მოხმარების საერთო შედეგის განსაზღვრის ზოგად ფორმულას. ერთ-ერთ უეჭველ სიახლედ მოხმარების თეორიაში, ჩვენი აზრით, შეიძლება ჩაითვალოს უქმი ეკონომიკის კონცეფციის შემოტანა. ასეთად ავტორს მაჩნია ისეთი დოვლათის შექმნა და დაგროვება, რომელიც გონივრულად, რაციონალურად არაა გამოყენებული, გადაიქცევა, ჯანსაღი აზრი მიხედვით, ადამიანებსთვის ზედმეტად, რეალობაში არაფრის მომტანად, უსარგებლოდ. ეს ყველას შეუძლია დაადასტუროს, თუ ავტორის მსჯელობას მივყვებით. შექმნილი დოვლათის საკმაოდ დიდი ნაწილი შეიძლება ზედმეტად, მისი მომსახურე ეკონომიკა უქმ ეკონომიკად მოვიაზროთ. სპეციალისტების შეფასებით, არსებული დოვლათის დაახლოებით მესამედი არააუცილებელს მიეკთვნება. ავტორი ნათლად წარმოგვიდგენს უქმი ეკონომიკის შემცირების მნიშვნელობას საზოგადოების კეილდღეობისათვის და კულტურისათვის, ეკონომიკურ ურთიერთობათა ცივლზებულო-ბისათვის. მოხმერების თეორიის განხილვისას ავტორი წამოსწევს ზომიერების საკითხს, რაც პრაქტიკის დონეზე და კაცობრიობის დიდ მოაზროვნეთა მიხედვით ცხოვრების მოწყობის უნმიშვნელოვანეს პრინციპადაა აღიარებული. ავტორი ზომიერებაში დებს ღრმა ეკონომიკურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ შინაასრსს, თვლის მას ცხოვრების გონივრულად მოწყობის, ცალკეულ პიროვნებათა და საყოველთაო ბედნიერი ცხოვრების ერთ-ერთ პირობად.

გიორგი მალაშხიას მიერ დასმულ და ახლებურად წარმოჩენილ საკითხთა შორის მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ეკონომიკურ ურთიერთობათა საბაზრო და არასაბაზრო ტიპები, მათი თანაფარდობის, საზოგადოებაში ადგილისა და განვითარების ტენდენციის გააზრება. მან ისტორიულ ჭრილში წარმოადგინა ამ ტიპების განვითარება და პერსპექტივა, გვიჩვენა არასაბაზრო ურთიერთობათა სოციალური ბუნება, მისი ადგილი თანამედროვე საზოგადოებაში და მომავალი გაფართოების ობიეტური წანამძღვრები. ეს უთუოდ ნაშრომის ერთ-ერთი საყურადღებო სიახლეა.

დაბოლოს, განსახილველი ნაშრომის საყურადღებო ნაწილია მხჯელობა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის არსებული ტიპის შეცვლის, პერსპექტივის საკითხი. ავტორი იხილავს ახალ საზოგადოებაზე და ახალ ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობას, კანონზომიერებას, საფუძვლებსა და გზებს. იგი ხედავს თანდათანობითი, სათანადო რაოდენობითი და თვისებრივი ცვლილებების, მუტაციების გზით, ყოველგვარი სისხლიანი რევოლუციების გარეშე, იმ ნამდვილ ადამიანურ საზოგადოებასა და ეკონომიკაზე გადასლის პროცესს, რომელიც თავისუფალი იქნება ხარვეზებისა და წინააღმდეგობებისაგან. ამ პროცესის ამოსავალ პირობად, განსხვავებით არსებული შეხედულებებისაგან, მიაჩნია ადამიანის, მისი ინტელექტის, ცნობიერების, მეცნიერების და ცოდნის განვითარება და ამ საფუძველზე სათანადო იდეოლოგიური და საზოგადოებრივი ინსტიტუტების პროგრესი. ავტორი, მიუხედავად აქამდე მისვლის დიდი სიძნელეებისა და წინააღმდეგობებისა, დაჯერებით ხედავს, მომავალი თაობების ახალ სინამდვილეში ცხოვრების რეალურობას.

როგორც დავინახეთ, გიორგი მალაშხიას მიერ წამოწეულია და ახლებურადაა განხილული ეკონომიკური ცხოვრების, საზოგადების განვითარების საკვანძო მხარეები, წარმოჩენილია ეკონომიკური და სოციალური თეორიის კარდინალურ პრობლემათა გარშემო ჭეშმარიტების ძიების შედეგები. შესაძლოა მასთან ბევრს ექნეს ზოგი რამ სადავო, ბევრმაც სრულადაც გაიზიაროს მისი შეხედულებები. ერთი კი უეჭველია, რომ მისი წიგნი საინტერესოა მკითხველისათვის. იგი ბიძგს მისცემს ახალ აზროვნებას ავტორის მიერ დასმულ საკითხებზე.

ალექსანდრე სიჭინავა
პროფესორი